



თბილისის სააპელაციო სასამართლო  
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა  
საქართველოს სახელით

საქმე №28/4587-14

17 ნოემბერი, 2014 წელი

თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ნათია გუჯაბიძე  
მოსამართლეები – ნატალია ნაზლაიძე, ლაშა კალანდაძე

სხდომის მდივანი – დარეჯან ბიძინაშვილი

აპელანტი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო  
წარმომადგენელი – ე. ხ.

მოწინააღმდეგე მხარე – სს „ს. რ.“  
წარმომადგენელი – ნ. წ.

დავის საგანი – თანხის დაკისრება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება

1. აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება
2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება



## მოსარჩელის მოთხოვნა:

სს „ს. რ.-ს“ მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სასარგებლოდ 1 896,24 ლარის გადახდის დაკისრება;

## გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სარჩელი სს „ს. რ.-ს“ მიმართ არ დაკმაყოფილდა.

## დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

მოპასუხე სს „ს. რ.-სათვის“ მოსარჩელე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სასარგებლოდ 1 896,24 ლარის გადახდის დაკისრება;

## სარჩელის საფუძვლები:

2010 წლის 11 მარტს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სს „ე. XXI“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაეცა სს „ე. XXI“-ს 207 382 136 ლარის ოდენობის დებიტორული მოთხოვნები კომერციული სუბიექტების მიმართ, მათ შორის, - სს „ს. რ.-ს“ მიმართ არსებული 1 896,24 ლარის ღირებულების მოთხოვნა. აღნიშნული დავალიანება წარმოიშვა სს „ს. გ. ს. ე.-ს“ მიერ სს „ს. რ.-ს“ ხობის სადგურისთვის მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურის გადაუხდელობის შედეგად.

2013 წლის 25 მარტს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ წერილი გაუგზავნა სს „ს. რ.-ს“ და მოითხოვა სს „ე. XXI“-ს მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა 1 896,24 ლარის ოდენობით. წერილის პასუხად სს „ს. რ.-მ“ განცხადებით მიმართა მოსარჩელეს. სს „ს. რ.-მ“ განცხადებაში მიუთითა, რომ სს „ე. XXI“-ს გააჩნდა 413 393,03 ლარის დავალიანება სს „ს. რ.-ს“ მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხემ მოითხოვა მოთხოვნების გაქვითვა.

სს „ს. რ.-ს“ შეთავაზებაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განაცხადა უარი, ვინაიდან მოსარჩელე არ წარმოადგენს შპს „ე. XXI“-ს უფლებამონაცვლეს, რის გამოც მოთხოვნათა გაქვითვა შეუძლებელია.



აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის წარმომადგენელმა მოითხოვა სს „ს. რ.-სათვის“ 1 896,24 ლარის გადახდის დაკისრება.

სს „ს. რ.-მ“ სარჩელი არ ცნო.

**მოპასუხემ შესაგებელი დაამყარა შემდეგ გარემოებებს:**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2013 წლის 25 მარტის წერილის პასუხად მოპასუხემ მოსარჩელეს 2013 წლის 25 აპრილს გაუგზავნა წერილი და აცნობა, რომ შპს „ე. XXI“-ს სს „ს. რ.-ს“ მიმართ გააჩნდა დავალიანება 413 393 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხემ მოსარჩელეს შესთავაზა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვასთან დაკავშირებით მოსარჩელეს თავისი პოზიცია არ უცნობებია მოპასუხისთვის. აღნიშნული სამართლებრივად ნიშნავს ვალდებულების შეწყვეტას ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სარჩელით მოთხოვნილი თანხის დავალიანება წარმოშობილია 2007 წლამდე, სარჩელი კი აღძრულია 2014 წლის 07 მაისს.

შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რაც მოპასუხეს აძლევს შესაძლებლობას უარი განაცხადოს შესრულებაზე.

**უდავო ფაქტობრივი გარემოებები**

2.1. 2010 წლის 11 მარტს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და შპს „ე. XXI“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე 2010 წლის 11 მარტს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და შპს „ე. XXI“-ს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაეცა შპს „ე. XXI“-ს დებიტორული მოთხოვნები კომერციული სუბიექტების მიმართ სულ 207 382 136 ლარის ოდენობით, მათ შორის, - სს „ს. რ.-ს“ მიმართ არსებული მოთხოვნა 1 896,24 ლარის ოდენობით.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2010 წლის 11 მარტის ხელშეკრულება (ტომი 1, ს.ფ. 18-20)
- 2010 წლის 11 მარტის მიღება-ჩაბარების აქტი (ტომი 1, ს.ფ. 21-22)
- მოსარჩელის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება (სარჩელი, ტომი 1, ს.ფ. 4-6)
- მოპასუხის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება (ტომი 1, ს.ფ. 79-81)



2.2. 1 896,24 ლარი წარმოადგენს 2006 წლის 01 მარტიდან 2007 წლის 04 ივნისამდე ხობის რკინიგზის სადგურისთვის მიწოდებული ელექტროენერჯის ღირებულების დავალიანებას.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

- აბონენტის ბარათი (ტომი 1, ს.გ. 31-32)

### დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

2.3. მოსარჩელის მოთხოვნა, 1 896,24 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე, ხანდაზმულია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა - ექვს წელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისთვის მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების დავალიანების გადახდის დაკისრებას. შესაბამისად, მოცემულ დავაზე ვრცელდება სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადა - სამი წელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ პირის უფლება, სრული მოცულობით მოახდინოს საკუთარი კანონიერი ინტერესების რეალიზება ან სასამართლო წესით დაცვა, შეზღუდულია სამოქალაქო კანონმდებლობით სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობებისათვის განსხვავებულად დადგენილი ვადებით. კანონმდებელი განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის გამოანგარიშების წესს და მის ათვლას უკავშირებს დროს, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა საკუთარი უფლების დარღვევის ფაქტი, ან დროს, როდესაც მას ასეთის თაობაზე ობიექტურად უნდა შეეტყო.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სს „ს. რ.-ს“ ხობის სადგური წარმოადგენდა სს „ს. გ. ს. ე.-ს“ აბონენტს. ამასთან, ელექტროენერჯის ღირებულების დავალიანება წარმოშობილია 2006 წლის 01 მარტიდან 2007 წლის 04 ივნისამდე. 2006 წლის 01 მარტიდან 2007 წლის 30 მაისამდე სს „ს. გ. ს. ე.-ს“ აბონენტების მიერ ელექტროენერჯის საფასურის გადახდა ხორციელდებოდა საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 იანვრის #1 დადგენილებით დამტკიცებული სს „ს. გ. ს. ე.-ს“ საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე აბონენტების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის” მიხედვით,



ხოლო 2007 წლის 30 მაისის შემდგომ პერიოდზე ელექტროენერჯის ღირებულების გადახდა ხორციელდებოდა საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2007 წლის 30 მაისის #9 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის“ მიხედვით.

საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 იანვრის #1 დადგენილებით დამტკიცებული სს „ს. გ. ს. ე.-ს“ საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე აბონენტების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის“ მე-9 მუხლის თანახმად, მომხმარებელმა ელექტროენერჯის საფასური უნდა გადაიხადოს ქვითარში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს 10 სამუშაო დღეზე ნაკლები ქვითრის მიღებიდან.

აღნიშნული წესების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შეთანხმების შემთხვევაში მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის და ამოღებული თანხების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიას და საერთო მრიცხველის მქონე უმრიცხველო მომხმარებლებს ან მათ უფლებამოსილ წარმომადგენელს შორის თვეში ერთხელ უნდა მოხდეს შედარების აქტის გაფორმება. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შედარების აქტში შეტანილი მონაცემების საფუძველზე კომპანია შეადგენს და მომხმარებელს წარუდგენს ქვითარს.

მსგავს რეგულაციას შეიცავს ასევე საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2007 წლის 30 მაისის #9 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი“.

ამდენად, მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის შესახებ თვეში ერთხელ ხდებოდა შედარების აქტის გაფორმება. შედარების აქტში მითითებული მონაცემების საფუძველზე კომპანია მომხმარებლებს წარუდგენდა ქვითარს და მომხმარებლები ვალდებული იყვნენ ქვითრის მიღებიდან 10 დღეში გადაეხადათ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ მოპასუხეს მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური უნდა გადაეხადა ყოველთვიურად, კერძოდ, წინა თვეში მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური უნდა გადაეხადა მომდევნო თვეში. შესაბამისად, ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოიშობოდა ელექტროენერჯის საფასურის მოთხოვნის უფლება.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე ითხოვს 2006 წლის 01 მარტიდან 2007 წლის 04 ივნისის ჩათვლით მოხმარებული ელექტროენერჯის



ღირებულებას. აქედან, ყველაზე გვიან, 2007 წლის ივნისის თვეში, მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს წარმოეშვა 2007 წლის ივლისის ბოლოდან, ხოლო წინა პერიოდისა კი, შესაბამისად, - თითო-თითო თვით ადრე. ამასთან, 2007 წლის ივნისში მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის მოთხოვნისათვის კანონით დადგენილია სამწლიანი ვადა გავიდა 2010 წლის ივლისში, წინა პერიოდისა კი, შესაბამისად, - თითო-თითო თვით ადრე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სარჩელი სს „ს. რ.-სათვის“ 2006 წლის 01 მარტიდან 2007 წლის 04 ივნისის ჩათვლით მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების დავალიანების გადახდის დაკისრების მოთხოვნით აღძრული იქნა 2014 წლის 07 მაისს (იხ. ტომი 1, ს.ფ. 2).

ამდენად, მოსარჩელის მიერ სარჩელი მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდევინების თაობაზე აღძრული იქნა კანონით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

**სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტება, რომ სს „ს. რ.-ს“ 2013 წლის 25 აპრილის წერილით შეწყვეტილი იქნა ხანდაზმულობის ვადის დინება.**

სასამართლო ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2006 წლის 01 მარტიდან 2007 წლის 04 ივნისის ჩათვლით მიწოდებული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა 2010 წლის ივლისის თვეში, ხოლო წინა პერიოდისა კი, შესაბამისად, - თითო-თითო თვით ადრე.

სს „ს. რ.-მ“ მოსარჩელეს წერილი მისწერა 2013 წლის 25 აპრილს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის დენას წყვეტს მხოლოდ ის აღიარება, რომელიც ხანდაზმულობის ვადის გასვლამდეა განხორციელებული - უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა შეუძლებელია.

ამდენად, 2013 წლის 25 აპრილს გაგზავნილი წერილი გავლენას ვერ მოახდენს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტაზე.

**დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით**



**2.4.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის სადაოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ სს „ს. რ.-ს“ შპს „ე. XXI“-ს მიმართ გააჩნდა 2006 წლის 01 მარტიდან 2007 წლის 04 ივნისის ჩათვლით მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დავალიანება 1 896,24 ლარის ოდენობით. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ 2010 წლის 11 მარტს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაეცა სს „ს. რ.-ს“ მიმართ „ე. XXI“-ს მოთხოვნა 1 896,24 ლარის ოდენობით.

მოპასუხე სს „ს. რ.-ს“ წარმომადგენელმა მიუთითა, რომ მოსაჩელის მოთხოვნა მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დავალიანების გადახდის დაკისრების თაობაზე ხანდაზმულია, ვინაიდან გასულია სახელშეკრულებო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. მოსარჩელემ კი სარჩელით სასამართლოს მიმართა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მხარის განმარტება მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელი 2006 წლის 01 მარტიდან 2007 წლის 04 ივნისის ჩათვლით მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დავალიანების გადახდის დაკისრების თაობაზე აღძრულია ბოლო თვის ელექტროენერგიის ღირებულების მოთხოვნის წარმოშობიდან (ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებიდან) სამი წლისა და ათი თვის გასვლის შემდეგ, ხოლო წინა პერიოდისა და თითო-თითო თვით მეტი ვადის გასვლის შემდეგ. მოსარჩელის მოთხოვნაზე ვრცელდება სახელშეკრულებო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. აღნიშნული გარემოება კი, მოპასუხეს უფლებას აძლევს უარი განაცხადოს შესრულებაზე, თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლისა.

ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ წარმოდგენილი სარჩელი ხანდაზმულია, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. შესაბამისად, სასამართლომ მიზანშეწონილად აღარ მიიჩნია მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმებას.

### 3. სააპელაციო საჩივრის საფუძველები

#### სამართლებრივი საფუძველები

**3.1.** სასამართლომ არასწორად შეაფასა ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებული ფაქტები, შესაბამისად, არასწორად მიიჩნია სარჩელი ხანდაზმულად. 2013 წლის 25 მარტს სამინისტრომ მიმართა სს „ს. რ.-ს“ წერილით და მოითხოვა სს „ე. XXI“-ის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა 1896.24 ლარის ოდენობით. სს „ს. რ.-მ“ ამავე წლის 30 აპრილის წერილით ცალსახად აღიარა დავალიანების არსებობა და მოითხოვა მისი გაქვითვა. იქედან გამომდინარე, რომ 2008



წელს სს „ე. XXI“-ს სს „ს. რ.-ს“ სასაგებლოდ დაეკისრა 413 393.03 ლარის გადახდა. ვინაიდან სს „ს. რ.-მ“ სამინისტროს მიმართვის შემდეგ არ გადაიხადა ვალი, მან სარჩელით მიმართა სასამართლოს 2014 წლის 30 აპრილს 1896.24 ლარის მოთხოვნით, თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 361-ე და 316-ე მუხლებისა.

სარჩელის წარდგენისას ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა არ იყო გასული. სამოქალაქო ურთიერთობათა რეგულირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როდის შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა. ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად აღიარებს მოთხოვნის არსებობას ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად. ხოლო სკ 341-ე მუხლის მიხედვით, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება.

მოცემულ შემთხვევაში, სს „ს. რ.-მ“ 2013 წლის 25 აპრილის წერილით აღიარა სს „ე. XXI“-ს მიმართ არსებული დავალიანება, რაც სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა, რადგან, სკ 141-ე მუხლის თანახმად, თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე არსებული დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან. ასევე, არასწორია სასამართლოს განმარტება, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღიარება გაკეთებულია ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე და არა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის შემდგომ. ეს უკანასკნელი გარემოება ვერ დააბრკოლებს აპელანტს მისი მოთხოვნის განხორციელებაში, რადგან სკ 144-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ მოპასუხემ 2013 წლის 25 აპრილის წერილით აღიარა ვალდებულება და შესაბამისად, ვადის ათვლა უნდა დაიწყოს აქედან და არა 2006-2007 წლებიდან.

#### **4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების





ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

## სამართლებრივი დასაბუთება

პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, პალატა აღარ შეამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს, თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლისა. თუმცა, სამართლებრივი შეფასების მიზნებისთვის, ცხადია, სააპელაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქმეში არსებულ რამდენიმე ფაქტობრივ გარემოებაზე.

4.1. აპელანტი სადავოდ ხდის საქალაქო სასამართლოს მიერ გაკეთებულ 137-ე მუხლის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ხანდაზმულობის ვადის დენას წყვეტს მხოლოდ ის აღიარება, რომელიც ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე განხორციელებული - უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა შეუძლებელია. მოცემული განმარტება პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩამოაყალიბა იმ უდავო ფაქტთან მიმართებით, რომ სს „ს. რ.-მ“ მოსარჩელეს წერილი მისწერა 2013 წლის 25 აპრილს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, რომელ წერილსაც მოსარჩელე ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძვლადაც მიიჩნევს.

მხარეთა შორის სადავო არაა ის გარემოება, რომ სარჩელით მოთხოვნილია დავალიანება, რომელიც სს „ს. რ.-ს“ შპს „ე. XXI“-ს მიმართ წარმოეშვა 2006 წლის 01 მარტიდან 2007 წლის 04 ივნისის ჩათვლით 1896,24 ლარის ოდენობით ელექტროენერჯის მოხმარებიდან გამომდინარე. უდავო ფაქტია ასევე, რომ 2010 წლის 11 მარტს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაეცა სს „ს. რ.-ს“ მიმართ „ე. XXI“-ს მოთხოვნა 1 896,24 ლარის ოდენობით.

აქედან, ყველაზე გვიან, 2007 წლის ივნისის თვეში მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს წარმოეშვა 2007 წლის ივლისის ბოლოდან, რაც ასევე არაა სადავოდ გამხდარი აპელანტის მიერ. მაშასადამე, ამ მოცემულობით ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა მოსარჩელისათვის ყველაზე გვიან ამოიწურა 2010 წლის ივლისის თვეში, თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლისა.

სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა



აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები.

მსაგავს რეგულაციას შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §212. კერძოდ, ამ პარაგრაფის პირველი აბზაცის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა ხელახლა იწყება, თუ მოვალე კრედიტორის მიმართ ნაწილობრივი გადახდით, პროცენტის გადახდით, უზრუნველყოფის წარდგენით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის უფლებას. მოცემულ ნორმათა (ქართული და გერმანული) შინაარსიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის ხელახალი დენის შეწყვეტა ნიშნავს ხანდაზმულობის ვადის დენის სრული ხანგრძლივობით ხელახალა დაწყებას. ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „მხოლოდ იმ ხანდაზმულობის ვადის დენის ხელახლა დაწყებაა შესაძლებელი, რომელიც ჯერ კიდევ მიდის“<sup>1</sup>. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ გაკეთებულმა აღიარებამ არ შეიძლება ხანდაზმულობა შეწყვიტოს.<sup>2</sup>

მაშასადამე, 2013 წლის 25 აპრილის წერილი ვერ მიიჩნევა ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტისა და მისი ხელახალი დენის ათვისების წერტილად.

აპელანტი თავისი უფლების რეალიზაციისათვის ყურადღებას ამახვილებს ასევე სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლზე და მიიჩნევს, რომ მოცემული ნორმიდან გამომდინარე, 2013 წლის 25 აპრილის წერილით მოპასუხემ აღიარა ვალდებულება, იმდენად რამდენადაც მოცემული წერილი წარმოადგენს ვალის არსებობის აღიარებას.

პალატა არ იზიარებს მოცემულ მოსაზრებას და იურიდიული კვალიფიკაციის მიზნებისთვის გააანალიზებს 2013 წლის 25 აპრილის წერილს.

მოცემული წერილით სს „ს. რ.-მ“ პასუხი გასცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2013 წლის 25 მარტის წერილს, რომლითაც ეს უკანასკნელი სს „ს. რ.-ს“ სთხოვდა სს „ე. XXI“-ის მიმართ არსებულ დავალიანებას 1896,24 ლარის ოდენობით.

2013 წლის 25 წერილის შინაარსი შემდეგია:

2013 წლის 25 მარტისა და 05 აპრილის წერილებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სს „ს. რ.-საგან“ ითხოვს სს „ე. XXI“-ს მიმართ არსებული ელექტროენერჯის დავალიანების ... 1896,24 ლარის ... ანაზღაურებას. ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 17 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით „ს. გ. ს. ე.-ს“ უფლებამონაცვლე სს „ე. XXI“-ს შპს „ს. რ.-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 413 393.03 ლარის...გადახდა.

<sup>1</sup> BGH NJW-RR 1997,516,517 (გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, გამოქვეყნებული ახალ ყოველკვირეულ იურიდიულ ჟურნალში)

<sup>2</sup> RGZ78,130,131, MuencheKomm/v.Feldman



საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის საფუძველზე, სს „ს. რ.“ იყენებს გაქვითვის უფლებას და სს „ე. XXI“-ის მიმართ არსებულ ელექტროენერჯის დავალიანების თანხას ... გაქვითავს სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით აღიარებული კრედიტორული დავალიანების ... დაფარვის ანგარიშში.“

მოცემული წერილის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია, არის თუ ურთიერთგაქვითვის მზაობა მოპასუხის მხრიდან 144-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებული პირის აღიარება და შესაბამისად, ვალის არსებობის აღიარება?

სკ 144-ე მუხლით გათვალისწინებული განვრცობა ვალის აღიარების თაობაზე სწორედ სკ 341-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალია არსებობის აღიარებას გულისხმობს (მოცემულ ნორმას შეესაბამება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §781).

„რაც შეეხება ვალის არსებობის აღიარებას, დეკლარაციული ვალის არსებობის აღიარება, რომელიც ხანდახან დამადასტურებელ ვალის აღიარებადაც იწოდება, არის სახელშეკრულებო, კაუზალური აღიარება. ასეთი ვალის აღიარების წინაპირობაა ის, რომ ხელშეკრულების მხარეები ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სრულად ან ნაწილობრივ მოგვარების მიზნით, რათა თავი აარიდონ მხარეთა შორის არსებულ გაურკვევლობას, ცდილობენ, მიაღწიონ შეთანხმებას. შეთანხმება მხოლოდ მაშინაა სახეზე, როცა შესაბამისი შეთავაზება აქცეპტირებული იქნება.“<sup>3</sup>

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე თავად უთითებს სარჩელში, რომ სამინისტრო არ წარმოადგენს სს „ე. XXI“-ს უფლებამონაცვლეს, რის გამოც სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, რეაგირება მოახდინოს მოპასუხის წერილში დასმულ თანხის გაქვითვის შესახებ მოთხოვნაზე. ე.ი. სს „ს. რ.-ს“ შეთავაზება თანხის გაქვითვის თაობაზე, არ იქნა მიღებული, აქცეპტირებული. მაშასადამე, სს „ს. რ.-ს“ წინადადების მიუხედავად, მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, რის გამოც 2013 წლის 25 აპრილის წერილი ვერ მიიჩნევა ვალის არსებობის აღიარებად.

გარდა აღნიშნულისა, „ხანდაზმულობის შემწყვეტი მაშინაა აღიარება, როდესაც კრედიტორის წინაშე მოვალე სამართლებრივი თუ ფაქტობრივი ქცევით ერთმნიშვნელოვნად გაცნობიერებულად აღიარებს მოთხოვნას“.<sup>4</sup>

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ს. რ.-ს შეთავაზება მოთხოვნათა გაქვითვაზე არ იყო მიღებული მოსარჩელის მიერ. სხვაგვარი ქმედებით კი მოპასუხეს არ უღიარებია სამინისტროს მოთხოვნა და მზაობა მისი დაფარვისათვის.

შესაბამისად, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ დააკისრა მოპასუხეს ელექტროენერჯის საფასურის გადახდა. ამდენად, დაუსაბუთებელია

<sup>3</sup> BGH VII ZR-165/05.11Jan.2007  
<sup>4</sup> BGH VII ZR 171/70



აპელანტის განმარტება იმის თაობაზე, რომ ს. რ. 2013 წლის 25 აპრილის წერილით ვალდებული იყო, გადაეხადა არსებული დავალიანება.

## 5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

პალატა ასკვნის, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, შესაბამისად, პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ასკვნის, რომ იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

## 6. საპროცესო ხარჯები

აპელანტი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, თანახმად „სახელმწიფო ბაჟის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „უ“ ქვეპუნქტისა.

### სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

#### და ა დ გ ი ნ ა

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით.

მოსამართლეები:

ნათია გუჯაბიძე

ნატალია ნაზღაიძე

ლაშა კალანდაძე